ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
ტრანსპორტის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი:**16-01183601361**
თარიღი: **26/12/2018**

ადრესატი:

თეონა ახალაშვილი
სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური-III-IV კლასის შენობა–ნაგებობების სანებართვო განყოფილება-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი)

ქალბატონო თეონა,

2018 წლის 19 ნოემბრის თქვენი წერილის (17-01183231414-16) პასუხად, რომელიც შეეხება ქ. თბილისში, სექტორი - კრწანისი, ქუჩა II ხეივანი N10-12 მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N 01.18.05.003.138) მრავალფუნქციური კომპლექსის (საოფისე, კომერციული, სასტუმრო, საცხოვრებელი) განთავსების მიზნით, არქიტექტურული პროექტის შეთანხმებასა და მშენებლობის ნებართვის გაცემას (AR1637401), გაცნობებთ:

ტრანსპორტის საქალაქო სამსახურმა განიხილა აღნიშნული პროექტის ტრანსპორტზე ზემოქმედების შეფასება და გამომდინარე იქიდან, რომ არ არის წარმოდგენილი ტრანსპორტის საქალაქო სამსახურსა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან შეთანხმებული მოძრაობის სქემა და ამასთანავე, შეფასება შეიცავს გარკვეულ ხარვეზებს, სამსახური, ამ ეტაპზე, მოკლებულია პოზიციის დაფიქსირების შესაძლებლობას.

სამსახური პოზიციას დააფიქსირებს ხარვეზების გამოსწორების შემდეგ. ხარვეზები წარმოდგენილია დანართის სახით.

ამასთანავე, გაცნობებთ, რომ მოძრაობის ორგანიზების სქემის შესათანხმებლად, სამსახურში უნდა იყოს წარმოდგენილი A3 ფორმატით ამობეჭდილი ოთხი ფერადი ეგზემპლარი. სქემის განცხადებას თან უნდა ერთვოდეს საპროექტო ტერიტორიაზე დაგეგმილი მშენებლობის განცხადების (ურბანულ ან არქიტექტურის სამსახურში შეტანილი) ნომერი და საკადასტრო კოდი.

დანართი: 1 ფურცელი.

პატივისცემით,

მამუკა მუმლაძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

არ არის წარმოდგენილი

- დოკუმენტაციას არ ერთვის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურსა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან შეთანხმებული მოძრაობის ორგანიზების სქემა.

კონკრეტული შენიშვნები

- **გვ. 34, 38.** კვანძების სატრანსპორტო ნაკადების ცხრილში ყველა მიმართულებით მოძრავი ავტომობილების დაყვანის კოეფიციენტებად აღებულია წრიულ გზაჯვარედინზე მოძრავი მიმართულების ნაკადების დაყვანის კოეფიციენტები, თუმცა, ზოგიერთი მიმართულება, მაგალითად, 1.1, 1.5, 3.2, 3.3, 3.6, 3.8 გამოთვლილია ქალაქის პირობებში გზის გამტარუნარიანობის ფორმულით, რომელიც თავად მოიცავს სატვირთო ავტომობილების წილს, შესაბამისად, დაყვანის კოეფიციენტების გამოყენება არ არის საჭირო. ასევე, ამავე მიმართულებებზე ინტენსივობის მონაცემები გვ. 42-ზე არ ემთხვევა სატრანსპორტო ნაკადების ცხრილების მონაცემებს. ანალოგიურად N3 კვანძის მხოლოდ 3.6 მიმართულების ინტენსივობა ემთხვევა გვ. 38-ზე მოცემული ცხრილის მონაცემებს.
- **გვ. 43.** მიმართულება N 1.2, 1.3 და 1.6-ის მოძრაობის ინტენსივობა არ ემთხვევა გვ. 34-ზე მოცემულ მონაცემებს.